



დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 24 ნოემბერი

დისციპლინური საქმე №109/20  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2020 წლის 29 სექტემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 06 ოქტომბრის №-- წერილით მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:**

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე --- -- მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმიდან, შეგნებულად ამოიღო 2018 წლის 17 დეკემბრისა და 2019 წლის 4 ივლისის წინასასამართლო სხდომის ოქმების ელექტრონული ვერსიები, რითაც ხელი შეუშალა საქმის ობიექტური განხივლის პროცესს.

ამასთან, საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ სახალხო დამცველს მიაწოდა სხდომის ოქმი, რომლითაც თითქოსდა დასტურდებოდა 2019 წლის 4 ივლისის ბარლდებულის სასამართლო პროცესში მონაწილეობის ფაქტი. რაც საჩივრის ავტორის შეფასებით არის სიცრუე და ოქმში რეალურად შეცვლილია სასამართლო სხდომის მიმდინარეობის დრო.

საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ მოსამართლე განაჩენში წერს სიცრუეს, რომ მოწმე --- -- სატელეფონი საუბრები ემთხვევა მის მიერ მიცემულ ჩვენებას.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით 2018 წლის 24 დეკემბერს სისხლის სამართლის საქმე №-- --- და სხვათა მიმართ არსებითად განსახილველად გადაეცა --- -- სასამართლოს მოსამართლე --- --.

საქმის მასალების თანახმად, ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე მოსამართლე --- -- მიერ სასამართლო სხდომები ჩატარდა: 2018 წლის 28 დეკემბერს; 2019 წლის 16 იანვარს; 2019 წლის 11

თებერვალს; 2019 წლის 13 თებერვალს; 2019 წლის 19 თებერვალს; 2019 წლის 27 თებერვალს; 2019 წლის 18 მარტს; 2019 წლის 22 მარტს; 2019 წლის 26 მარტს; 2019 წლის 28 მარტს; 2019 წლის 10 აპრილს; 2019 წლის 16 აპრილს; 2019 წლის 18 აპრილს; 2019 წლის 2 მაისს; 2019 წლის 6 ივნისს; 2019 წლის 7 ივნისს; 2019 წლის 15 ივნისს; 2019 წლის 24 ივნისს; 2019 წლის 25 ივნისს; 2019 წლის 27 ივნისს; 2019 წლის 28 ივნისს; 2019 წლის 1 ივლისს; 2019 წლის 3 ივლისს; 2019 წლის 4 ივლისს; 2019 წლის 5 ივლისს; 2019 წლის 11 ივლისს; 2019 წლის 12 ივლისს; 2019 წლის 17 ივლისს; 2019 წლის 18 ივლისს; 2019 წლის 23 ივლისს.

2019 წლის 4 ივლისის სასამართლო სხდომა გაიხსნა 18:10:56 საათზე და დაიხურა 20:05:16 საათზე. სასამართლო სხდომას არ ესწრებოდა ბრალდებული -- --. საქმის მასალების თანახმად, მან უარი განაცხადა სასამართლო სხდომაში მონაწილეობაზე.

-- -- სასამართლოს 2019 წლის 23 ივლისის განაჩენით -- -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით და 223<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის და სასჯელის სახით განესაზღვრა 8 (რვა) წლით თავისუფლების აღკვეთა.

### **3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ შეესაბამება დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგენილ გარემოებებს. კერძოდ, დადგინდა, რომ მოსამართლე -- -- სისხლის სამართლის საქმე -- -- მიმართ არსებითად განსახილველად გადაეცა 2018 წლის 24 დეკემბერს. ამდენად, 2018 წლის 17 დეკემბრის სასამართლო სხდომის ოქმთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორის მიერ მოსამართლის მიმართ გამოთქმული შენიშვნები უსაფუძვლოა და მისი სამართლებრივად შეფასება არარელევანტურია დისციპლინური სამართალწარმოების მიზნებისთვის. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 17 დეკემბრის წინასასამართლო სხდომის ოქმი წარმოდგენილია სისხლის სამართლის საქმეში.

დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად, ასევე დადგინდა, რომ 2019 წლის 4 ივლისის მოსამართლე -- -- ნამდვილად ჩაატარა სასამართლო სხდომა აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, რომლის დამადასტურებელი სხდომის ოქმი და მისი აუდიო ჩანაწერი წარმოდგენილია სისხლის სამართლის საქმეში. შესაბამისად სასამართლოს მხრიდან სახალხო დამცველისთვის ცრუ ინფორმაციის მიწოდების ფაქტი არ იკვეთება.

რაც შეეხება მოწმე -- -- ჩვენებასთან დაკავშირებით საჩივრის ავტორის მითითებულ გარემოებებს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ

გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

განსახილველ შემთხვევაში საჩივრის ავტორის მიერ მოწმის ჩვენებასთან მითითებული ფაქტების შესწავლა დაკავშირებულია მოსამართლის მიერ მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, გამოტანილი განაჩენის კანონიერების და მის დასაბუთებულობის შესწავლასთან, რაც სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილების სფეროს და წარმოადგენს სასამართლოს კომპეტენციის საკითხს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

-- -- 2020 წლის 29 სექტემბრის №-- საჩივრის საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**